გაზეთი ღირს

| თვეზე | მან. კ. | თვეზე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | 6— |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8— | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გრანცოვის ქვევლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


## რედაქციისაგან

გაზეთი „ივერია“ 1-ლ აგვისტოდგან წლის დამლევამდე ღირს 5 მან. 50 კაპ. მსურველს შეუძლიან ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს. (10—5)


## სასწავლებელი და პანსიონი

## ჯორჯიკიასი

(ქუთაისში)

გიმნაზიის, პროგიმნაზიის, რეალურ და სხვა სასწავლებლების პირველ და მოსამზადებელ კლასში მომზადებისათვის აიღებს სამ-სამს მანეთს თვიურად. პანსიონერებს შენახვისა და სწავლისათვის გადაახდევინებს წლიურად 180 მან. სასწავლებლის პანსიონში შეუძლიანთ იქონიონ ბინა და სწავლაში დახმარება გიმნაზიის და პროგიმნაზიის მოსწავლეთაც. მეორე, მესამე და სხვა კლასებში მომზადებისათვის მეტსაც აიღებს. ვისაც პანსიონში შვილის მიბარება ან დატოვება უნდა, საჭიროა ოც აგვისტოდგან პირველ სექტემბრამდე შეგვატყობინოს (ტფილისის ქუჩა, საკუთარ სახლში). (20—103—4)


ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა

ამით უცხადებს ამა ბანკის ბ-ნთ წევრთა დამფუძნებელთა და მსესხებელთ, რომ, რადგან 26 ივლისისათვის დანიშნული კრება არ შესდგა კანონიერ წევრთა შეუკრებლობის გამო, მეორე საგანგებო საზოგადო კრება დანიშნულია 11 აგვისტოსათვის, დილის 10 საათზედ, ქ. ტფილისში, საადგილ-მამულო ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ.

განსახილველი საგანი:

ზედამხედველ კომიტეტისა და ბანკის მმართველობის საერთო მოხსენება იმის შესახებ, რომ 12,000 მანეთი გადაიდოს ხოლერასთან საბრძოლველად ტფილისის გუბერნიის სოფლის მკვიდრთა უზრუნველ-საყოფელად. (3—3)

## ახალგაზდობის მიმართ

ვინ იქნება დღეს ისეთი გულ-ქვავი, რომ ყოველ გაზეთის კითხვაზედ ჟრიამულმა არ დაუაროს ტანში. უბედურება, თავსხარ-დამცემი უბედურება დატრიალდა მთელს ჩვენს ქვეყანაში. სიკვდილი, შესაზარი, შეუბრალებელი სიკვდილი ჰმუსრავს ყველას გაურჩევლად, დიდს თუ პატარას, მოხუცს თუ ყმაწვილს, და ვერც სიყმაწვილე, ვერც ჯან-მრთელობა, ვერც ლოცვა-ვედრება ვერავის ვერ იფარავს.

შეშინებული ხალხი სტოვებს სახლკარს, უკანასკნელ ქონებას და გარბის, სადაც-კი მოასწრობს, რომ იქ მთა-ღრეებში როგორმე თავი შეაფაროს, მაგრამ საშინელი ჭირი, თითქო გაუტკბაო ამ უმანკო, მშრომელის ხალხის სისხლი, თან მისდევს და იქ ყველასგან მოშორებულს წუთი-სოფელს უსპობს. ოხრად და ტიალად მიტოვებულს სოფლებში მარტო გაისმის კვნესა-ლა სულთმობრძავთა და ავადმყოფთა და გულ-საკლავი ტირილი ჭირისუფალთა, რომელნიც გაფითრებულის სახით აჩრდილებსავით აქა-იქ მოჩანან: ვინ არის ყველა მათი მშველელი, მათი მანუგეშებელი? ვინ არის, რომ წამლობით, დარიგებით, გულ-შემატკივარის ყურადღებით დაიცვას ამოდენა ადამიანთა სიცოცხლე? სახელ-განთქმულნო, დიდებულნო თავად-აზნაურნო! უწინ თქვენგან სწავლობდნენ თავგანწირულებას, სიკვდილს მამულისთვის და ხალხისთვის, ეხლა რაღა ისწავლონ თქვენგან?..

ჩვენ სად-ღა ვართ გულ-წრფელი, გულ-შემატკივარი, ნასწავლი ახალგაზდები?! ნუ თუ ასე მალე განქრა ჩვენის ხსოვნიდგან ის წამები, როდესაც სიკვდილს მამულისათვის ალავერდით ერთმანეთთან გადავდიოდით! ნუ თუ ის სურვილი, ის საყვარელი ფიქრი, ოცნება, რომელსაც მთელი სიყმაწვილე განუშორებლად გულში ვატარებდით, დღეს, ამ გაჭირვებულს მდგომარეობაში, გულს ცეცხლს არ მოსდებს და სულს არ აღგვიფრთოოვანებს? კმარა ამდენი ტირილი და გულხელ-დაკრეფილი ჯდომა—თორემ ლაჩრობად ჩამოგვართმევენ. დღეს მხნეობა და თავგაწირულება არის საჭირო ხალხისთვის. უძლიერესს ომს ვერავინ მოესწრება და სიყვარული და გულადობაც აქვე გამოგვაჩნდება.

დრო მოცდას არ თხოულობს; ეხლავ შევუდგეთ საქმეს: დავტრიალდეთ სოფლებში, ვისაც-კი სად ეხერხება; დავარიგოთ ხალხი, გავაფრთხილოთ სმა-ჭამის შესახებ, შევკრათ სოფლები ბ გავასუფთავებინოთ სახლები, ეზოები, სასმელი წყაროები და სხ.; ერთის სიტყვით, მოვიხმაროთ ყველა ის საშუალება, რომელსაც დღეს ამ ჭირის საბრძოლველად მეცნიერება იძლევა. ბევრს ჩვენგანს ვერ ვინ მოსთხოვს წამლობას; მაგრამ უმთავრესი ჩვენი ძალ-ღონე უნდა მოვანდომოთ იმას, რომ გადავარჩინოთ დ დავიფაროთ სიკვდილისაგან სალი ადამიანი. თუ ამას მივაღწევთ, ჩვენი მისსია შესრულებული იქნება.

ნუ დავივიწყებთ, ყმაწვილებო, რომ ჩვენს გამარჯვებას ხელს შეუწყობს ზევით ღმერთი და ძირს მთელის ქვეყნის ლოცვა-ვედრება. ეს ის წმიდა ომი იქნება, რომელიც ვერც ერთის ველურ ადამიანის გულში ვერ აღძრავს ვერც შურს, ვერც მტრობას, ვერც წინააღმდეგობას. მტერი საერთოა, ის არ არჩევს არც ქართველს, არც სომეხს, არც რუსს და არც თათარს და ჩვენც, თუ ღმერთი შეგვაძლებინებს, განურჩევლად უნდა მივაწვდინოთ ხელი ყველას, ვინც-კი შველას საჭიროებს.

ეს არის ჩვენი წმინდა მოვალეობა და თუ რამედ გვიღირს ჩვენი სახელი, თუ ხალხის კვნესას კიდევ შეგვიძლიან გულის სიღრმიდგან გავსცეთ პასუხი, თუ სიყვარული სიყმაწვილეს არ გაჰყრია და მართალს გულს სიტკბოება კიდევ სწადიან, ეს უდიდესი სიტკბოება უნდა ვიგემოთ ჩვენი მოვალეობის აღსრულებით...

პავლე ყიფიანი

## ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

ტფილისის მიხეილის სამკურნალოში დილით, 30 ივლისს, იყო 7 კაცი და 3 დედაკაცი; ამ დღეს მიიყვანეს 2 კაცი: ანდრია სიმონოვი (9 ნაწ., ავჭალის ქუჩა, სახლი სალარაშვილისა) და ნიკოლოოზ ნედოსპასოვი, ერთის წლის ყმაწვილი (1 ნაწ., მოსკოვის ქუჩა, სახლი, № 10); გარდაიცვალა ილინისა. დილით 31 ივლისს იყო 9 კაცი და 2 დედაკაცი; ამას გარდა მე-8 ნაწილიდგან მიიყვანეს სოსიკო კეიფოროვი, რომელიც ეტლიდგან მკვდარი გადმოიღეს საავადმყოფოს კარებზედ.

მაჰმადიანთა დროებითს სახოლერო ფარდულში 30 ივლისს გარდაიცვალა აბდულ-ჰუსეინ-ოღლი. 31 ივლისს დილით 2 კაცი იყო ავადმყოფი.

სამკურნალოს გარეშე 29 ივლისს ავად დახდნენ: სარიბეგ სარქისოვი, ბათუმიდგან ჩამოსული; ივანე მუსურზა, მართლ-მადიდებელს სემინარიაში მოსამსახურე; 30 ივლისს: იოსებ კეპინოვი (დესიმონოვას მოედანი, სახ. № 53); მარიამ კიკნაძისა (2 ნაწ., ლაბორატორიის ქუჩა, სახ. № 35).

თავისს სახლშივე გარდაიცვალა 30 ივლისს ალი-სულთან-მურად-ბეგი (ვარანცოვის ქუჩა მე-6 ნაწ.) მორჩა თავისსავე სახლში აგაფია ლოსკუტოვისა.

ერთის კვირის განმავლობაში, 22 ივლისიდგან 29 ივლისამდე, ტფილისის მაზრაში ავად დახდნენ: სოფ. პატარძეულში ავად გახდა 7 კაცი, გარდაიცვალა 5; სოფ. ხაშმში ავად გახდა 9, გარდაიცვალა 8; სოფ. სართიჭალაში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 1; სოფ. გიორგიწმინდაში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 2; სოფ. ნინოწმინდაში ავად გახდა და გარდაიც-

# ფელეტონი

## მასლაათი ხოლერის გამო

საბრალო, საცოდავო, გაზეთის მკითხველო, ვერ წარმოიდგენ, რა რიგ მებრალები და მეცოდები. ჰგზავნი რედაქციაში ფულსა, იბარებ გაზეთს და რისთვის? იმისთვის, რომ ახალ-წლიდგან მოყოლებული, აგერ შვიდი თვეა, სულ არა-სასიამოვნო ამბები იკითხო.

ჯერ რუსეთში სიმშილის ამბებსა კითხულობდი, შემდეგ ვანქის ხიდის ჩატეხამ გამოგიჭედა ყურები, მერე მოლითის უბედურებამ, შემდეგ კალიის ამოწყვეტის ამბავმა მოგაბეზრა თავი და ეხლა კიდევ ამ წყეულ ხოლერის ამბებმა შეგაწუხა. რომელი გაზეთიც უნდა აიღო ხელში, რომელ განყოფილებასაც უნდა გადაავლო თვალი, ყველგან ერთი და იგივე ამბავი დაგიხვდება. ერთგანა სწერია: ამა-და-ამ ქალაქში (ანუ სოფელში) „ფეხის ადგილებს ასუფთავებენო“, მეორე ალაგას კიდევ სწერია: ამა-და-ამ ქალაქში „ფეხის ადგილებს არ ასუფთავებენო“.

აღარა აქვს ბოლო და საზღვარი ხოლერის გამო დაბეჭდილს სხვა-და-სხვა დარიგებასა, წესებსა, რჩევას, განკარგულებას, გაფრთხილებას, ხოლერის შესახებ მეთაურებსა, ფელეტონებს, შენიშვნებსა და ანდაზებს.

**

„სიმართლესა და ჭეშმარიტებას ადამიანმა მუდამ უნდა მოუხაროს ქედი“ და ისიც ხომ ჭეშმარიტებაა, რომ ჩვენს დალოცვილს ქალაქს ტფილისს დაწმენდა-დასუფთავება ეჭირვებოდა, და უნდა ვაღიაროთ, რომ არც დაზარდა ამ საქმეს. პირი დაიბანა, გალამაზდა, დასუფთავდა და კოპწია პატარძალივით მიეგება „დაუპატიჟებელს სტუმარს“—ხოლერას.

სწმენდავენ და ასუფთავებენ აგრეთვე, „როგორც ჩვენ გვატყობინებენ“ და „როგორც ჩვენ გვწერენ“, სხვა ქალაქებსა და დაბა სოფლებსაც. საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხიდგან იწერებიან: „ხოლერის გამო ჩვენც შევუდექით ჩვენის ქალაქისა (ანუ სოფლის) დაწმენდა-დასუფთავებასაო“.

კითხულობ ასეთს ამბებს და აშკარადა ჰხედავ, რომ ყველა სოფლიდგან მოწერილი ამბები სულ ერთი და იგივეა. განსხვავება მხოლოდ სოფლების სახელებშია. სხვა-და-სხვა სოფლიდგან სხვა-და-სხვა კორესპონდენტი სულ ერთსა და იმავე ამბებსა სწერს,—სოფლების დაწმენდის შესახებ. ამ ამბებიდგან მე შემდეგი დავასკვენი:— „რადგანაც უსუფთაობა ყველგან არის, ამიტომ ხალხს ამ უსუფთაობისთვის აუშენებია სახლები და გაუკეთებია მოედნები, ქუჩები და ეზოები. რადგანაც ადამიანს წყალის სმა უნდა, ამიტომ იგი სვამს საპნიანსა და ყველა ბინძურებით სავსე წყალს. რადგანაც უსუფთაობა ძლიერ მავნებელია ხალხისათვის, ამიტომ ქალაქებისა და სოფლების დაწმენდისათვის არავინ არა ზრუნავს, ვიდრე ხოლერა არ მოგვადგება ხოლმე კარზედ და ჰკუას არ გვასწავლის.“

**

ფაქიზს ევროპიელს ერთი ძლიერ მოსაწყენი ჩვეულება აქვს: მუდამ დღე სწმენდავს და ასუფთავებს სახლსაცა და თავის თავსაც. ჩვენი დარბაისელნი და კეთილ-მორწმუნე კაცნი მხოლოდ დიდის დღესასწაულის წინა დღით დადიან აბანოში...

არის ქვეყანაზედ ისეთი უზრუნველი და ბედნიერი ხალხიც, რომელსაც სისუფთავე სრულებითაც არ მიაჩნია საჭიროებად და არც ცოცხსა ხმარობს და არც საპონს.

ჩვენ-კი ჩვენის ქალაქებისა და სოფლების დასუფთავებას მაშინ ჰკიდებთ ხოლმე ხელსა, როცა მთავრობა გვიბრძანებს: „თქვენს ქალაქს თქვენი უფროსი, დიდებული სტუმარი ვინმე და ან კიდევ რაიმე გადამდები ავადმყოფობა უნდა ეწვიოს და ეცადეთ, რიგიანად დაუხვდეთო“. მართალია დიდი განსხვავებაა დიდებულს სტუმარს და ხოლერას შორის, მაგრამ რა ვუყოთ, რომ თუ სტუმარი ვინმე არ გვეწვია, ფიქრადაც არ მოგვივა ქალაქის დაწმენდა-დასუფთავება.

ეს გარემოება ძლიერ საყურადღებოა. ჩვენ მხოლოდ მაშინ ჩავარდებით ხოლმე საგონებელში და მაშინ ვსცდილობთ ქალაქის დაწმენდა-დასუფთავებას, როცა რომელსამე გადამდებ სენის ამბავს შევიტყობთ და როცა ის სენი ისე მოგვიახლოვდება, რომ არც დრო გვაქვს და არც შეძლება, რიგიანად დავუხვდეთ.

საუბედუროდ, სწორედ იმ დროს გამოგველევა ხოლმე ნიჩბებიც, ცოცხებიც და სადეზინფექციო წამლებიც. ჩვენი სანიტარები-კი კარგ მეძებრებივით დარბიან ქალაქში და ზოგიერთს ადგილას იმისთანა უსუფთაობას აღმოაჩენენ ხოლმე, რომ იმის დაწმენდა-დასუფთავებას მთელი დუნიის ხალხი რომ მოახვიო, მაინც ვერას გააწყობს.

**

გაჩნდება ხოლმე თუ არა ჩვენს რომელსამე ქალაქში ეს რაღაცა ჯა-

ვალა 1; სოფ. მუღანლოში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 2; სოფ. ბეგიდუზანში ავად გახდა და გარდაიცვალა 1; ახალშენ მარიენფელდში ავად გახდა 2, გარ.—1; სოფ. უჯარმაში ავად გახდა 34, გარდაიც. 23; სოფ. საგარეჯოში ავად გახდა 15, გარდაიცვალა 10.

ქ. ახალქალაქში 29 ივლისს ავად გახდა 1, მორჩა 1; სოფ. არაგვაში კვლავ ავად გახდა 29. 28 ივლისს გარდაიცვალა 4, მორჩა 1; ბარალეთში კვლავ რამდენიმე გახდა ავად. ხასპში ავადმყოფი არავინ არის. სულ ახალქალაქის მაზრაში ავად არის: ქალაქში—2, სოფლად 32.

გორში 30 ივლისს ავად გახდა 9, გარდაიცვალა 8, მორჩა 4, დარჩა ავადმყოფი 34.

სოფ. დიღმელაურში, თიონეთის მაზრაში, ხოლერით ავად გახდა 3, გარდაიც. 1. სენი შეტანილია სოფ. ჯილაურიდგან.

ბორჩალოს მაზრის სოფ. შულავერში პირველად ხოლერის სენმა თავი იჩინა 22 ივლისს, შემდეგ ავად გახდა კიდევ 5 კაცი, რომელნიც გარდაიცვალნენ 26 ივლისამდე. 30 ივლისს შულავერიდგან ამბავი მოვიდა, რომ აქ ავად აღარავინ გამხდარაო.

---

ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ ქუთაისში

27 ივლისს ავად იყო 2; ავად გახდა 2; იმავე დღეს სახლში ავად იყო 1, მორჩა 1. 28 ივლისს დილით ავად იყო 4. 5—28 ივლისს ავად იყო 20, მორჩა 6, გარდაიცვალა 10, ავად არის 4.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ მ. იანქოშვილის მიერ შეკრებილი შემოწირულებანი 21 მან. 35 კაპ. სოფლად ხოლერისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და მასთან საბრძოლველად. აქავე ვბეჭდავთ შემომწირველთა სიასაც: არხიმანდრიტმა ნიკოლოოზმა 1 მან., მღვდელმა გ. ჩაგუნავამ 1 მან., მღვდელმა მ. მონასელიძემ 50 კაპ., ს. ჩიტაძემ 1 მ., ალექსანდრე არდაზიანმა 1 მ., ილია კიკნაველიძემ 1 მ., თავ. ი. ლიონიძემ 1 მ., ნ. ქარუმიძემ 1 მ., ა. ნანაბაშვილმა 1 მ., ნ. ფ—რიმ 1 მ., სოსო კოლელაშვილმა 1 მ., ვასილ ჯაფარიძემ 1 მ., დავით მაღრაძემ 1 მ., დიმიტრი გვარამიამ 1 მ., მარიამ იანქოშვილისამ 50 კაპ., დარეჯან იანქოშვილისამ 50 კაპ., ანნა ერმალაევისამ 20 კაპ., ივანე სულხანაშვილმა 60 კაპ., მ. დათიაშვილმა 30 კაპ., მ. ხახიაშვილმა 30 კაპ., ვ. სამადაშვილმა 30 კაპ., ვ. ერმალაევმა 30 კაპ., ა. ხოჯაშვილმა 40 კაპ., ა. იანქოშვილმა 50 კაპ., ზაქარია სეხნიაშვილმა 40 კაპ., ტარასი ჩინჩალაძემ 50 კაპ., ნიკოლოოზ შტამიმ 50 კაპ., პ. კვირიკაშვილმა 30 კაპ., ვ. კლიმიაშვილმა 30 კაპ., ცალქალამიძემ 30 კაპ., შიომ 20 კაპ., კ. გამრეკელმა 25 კაპ., ნ. ერმოლაევმა 20 კაპ., მ. იანქოშვილმა 1 მან. სულ 21 მან. 35 კაპ. ამ ფულისა გვქონდა 399 მან. 50 კაპ. ამითი შესდგა 420 მან. 85 კაპ.

*** ბაქოს გუბერნატორი იუწყება: 27 ივლისს ბაქოს სამკურნალოში მიიყვანეს 3 ხოლერიანი ავადმყოფი. გარდაიცვალა 1, მორჩა 2, სამკურნალოში იმყოფება 35, საპატიმროში 9; სამკურნალოს გარეშე გარდაიცვალა 4; გუბერნიაში ავად გახდა 232, გარდაიცვალა 163, მორჩა 71, ავად არის 120; სამხედრო ლაზარეთში იმყოფება 30 ავადმყოფი.

განჯის გუბერნატორი იუწყება: 27 ივლისს მთელს გუბერნიაში ავად გახდა 144, გარდაიცვალა 66, ავად არის 194.

დაღესტნის გუბერნატორი იუწყება: 27 ივლისს მთელს დაღესტანში ავად გახდა ხოლერით 536, გარდაიცვალა 220, კიდევ ავად არის 1470.

ქუთაისის გუბერნატორი იუწყება: 27 ივლისს ქუთაისში ხოლერით ავად გახდა 2, მორჩა 1, ავად არის 4. ქუთაისის გუბერნიაში იმავე დღეს ავად გახდა 1, გარდაიცვალა 2, მორჩა 3, ავად არის 14.

ერევნის გუბერნატორი იუწყება: 26 ივლისს ერევანში ავად გახდა 12, გარდაიცვალა 5, ავად არის 8; გუბერნიაში ავად გახდა 235, გარდაიცვალა 148, ავად არის 280.

ყარსის გუბერნატორი იუწყება: შურაგელის ნაწილში 28 ივლისამდე ავად გახდა 44, მორჩა 22, გარდაიცვალა 27, ავად არის 94.

ზაქათალის ოლქის უფროსი იუწყება: 28 ივლისამდე ზაქათალაში ავად გახდა 1 და უკვე რჩება. ოლქებში ავად გახდა 24, მორჩა 4, გარდაიცვალა 12, ავად არის 37.

სტავროპოლის გუბერნატორი იუწყება: 28 ივლისამდე ნოვოგრიგორიევსკის მაზრაში ავად გახდა 534, გარდაიცვალა 281, მორჩა 125; ალექსანდროვსკის მაზრაში ავად გახდა 12, გარდაიცვალა 4; მედვეჟონსკის მაზრაში ავად გახდა 73, მორჩა 9, გარდაიცვალა 30.

*** ტფილისის გუბერნატორმა სთხოვა მთავარ-მმართებელს: რადგანაც გორში ხოლერა ძრიელ ვრცელდება და ქალაქ გორის გამგეობა არავითარს საშუალებას არა ხმარობსო, ქალაქს გორს მიეცეს შემწეობა იმ ფულიდგან, რომელიც ხოლერის საბრძოლველადაა გადადებული ტფილისის გუბერნიისათვის.

*** ამ დღეებში გარდაიცვალა ერევნის გუბერნიის სოფელ ვაზარპატში გაზეთ „მშაკის“ თანამშრომელი ა. ლ. აპარკიანი.

*** ტფილისის მუსულმანთა სამკურნალოს ხარჯს 1 აგვისტოდამ ქალაქი კისრულობს.

*** ხოლერის გამო ტფილისის საბებიო ინსტიტუტში ეგზამენები და სწავლა დაიწყება 16 სექტემბერს.

*** იმის გამო. რომ ტრაპიზონში ხოლერა გაჩენილა, ოსმალეთის მთავრობამ დააწესა ხუთის დღის კარანტინი ანატოლიის ახლოს, ზღვის პირას, რუსეთის საზღვრიდგან ორდამდე. ტრაპიზონში პირველ დღეს ბევრი ხალხი დაიხოცა. აღმოჩნდა, რომ ხოლერა ბაქოდგან გადუტანიათ იქაურს მცხოვრებლებს, რომლებიც ბაქოში მუშაობდნენ და როდესაც იქ ხოლერა გაჩენილა, თავიანთ სამშობლოში დაბრუნებულან.

*** ამ დღეებში მზად იქნება ტფილისში ახალი საყასბოები. ქალაქის გამგეობამ დაავალა მეთერთმეტე სასანიტარო დასის თავმჯდომარეს ნ. ი. ნიკოლაძეს, ქალაქის ინჟენერს და პოლიციას, დაათვალიერონ ძველი საყასბოები და ამ განხილვის გამო ოქმი წარუდგინონ ქალაქის მოურავს.

*** „რუსეთის სანოოსნო და სავაჭრო საზოგადოება“ აცხადებს, რომ ქ. ოდესაში კარანტინის გამართვის გამო ის გემები, რომელიც ბათუმიდგან კვირაობით ღამის $11\frac{1}{2}$ საათზედ ოდესაში მიდიოდნენ, დროებით აღარ ივლიანო.

*** როგორც ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, ამ ბოლოს დროს ტფილისის საგიჟეთში 2 კაცი გახდა ხოლერით ავად. ამის გამო საგიჟეთის გამგეობამ შემდეგი ღონისძიებანი იხმარა: ავადმყოფთ მალ-მალე ატარებენ სუფთა ჰაერზედ, ოთახებში ყოველ დღე დეზინფექციას ახდენენ. ავადმყოფთ ადუღებულს წყალს ალევინებენ, საცვალს მალ-მალე უცვლიან და ფეხის-ადგილებს სადეზინფექციო წამლებით აპკურებენ.

*** საყურადღებო საქმეა დანიშნული ოლქის სასამართლოში 3 აგვისტოსათვის. ერთს თექვსმეტის წლის ყმაწვილ-კაცს, შორაპნის მაზრელ აზნაურს ჩიჩნავაძეს ბრალად ედება, რომ გაძარცვა სდომებია და მოუკლავს ერთი თათარი, რომელსაც საკონდიტერო ჰქონდა ვარანცოვის ქუჩაზედ, მირზოევის აბანოებს ახლოს. სასამართლოს გარდაწყვეტილებას ჩვენს მკითხველებს ვაუწყებთ.

*** როგორც შევიტყეთ, ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართალის განყოფილების სესიას, რომელიც გორში უნდა წასულიყო საქმეების გასარჩევად და პირველი საქმე 3 აგვისტოს უნდა გაერჩია, გადაუდვია და ჯერ ხანად გორში აღარ წავა, რადგან ამ ქალაქში ხოლერა თანდათან ჰმატულობს და ძლიერდება.

*** ხარაგაული: ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ არც ხარაგაულიდგან გამოგზავნილი წერილები და არც აქეთ გაგზავნილი დანიშნულ ალაგს ვერ აღწევსო, სადღაც იხაფრებაო.

*** ქუთაისი: ქუთაისში შაქრის ფასმა იმატა: გირვანქას 19 კაპ. ჰყიდიან. კამფეტიც გააძვირეს, შაქრისაგან კეთდებაო: აბაზიანს ხუთ შაურად ჰყიდიან და ხუთ შაურიანს—ექვს შაურად.

*** აჯიქაბული: 27 ივლისს აქ გარდაიცვალა ხოლერით აქაური ბოქაული აფანასიევი. თუმცა ბევრს ეცადნენ იმის გადარჩენას მკურნალი სმირნიცკი და ფერშალი გრიგორიევი, მაგრამ მაინც ვერა უშველეს-რა. ორის დღის წინად აფანასიევს დედა მოჰკვდომია და ცოლიც ავად გახდომია ხოლერითვე.

*** სოფ. მეჯვრეკისი (გორის მაზრა): არც ჩვენ დაგვტოვა უნახავად დაუპატიჟებელმა სტუმარმა ხოლერამ და აქაც იჩინა თავი. 17 ამ თვეს გარდაიცვალი ორი გლეხ-კაცი: მიხეილ მოსიაშვილი და გიორგი შერაზადიშვილი. 21 გარდაიცვალა ერთი დედაკაცი, ელენე ქაბულაშვილისა. 23 გარდაიცვალა კიდევ ერთი გლეხი—მიხეილ დოიჯაშვილი. ამათი გარდაცვალება და ავადმყოფობა თავის დროზედ აცნობა ცხინვალის ექიმს ბ-ნს ცისკარაშვილს მამასახლისმა და ადგილობრივმა მღვდელმა. ექიმი და ბოქაული ჩამოვიდა, ასხურა ავადმყოფები და აგრეთვე მიცვალებულთა სახლები, დაუტოვა წამალი და მისცა დარიგება, როგორ უნდა მოქცეულიყო ხალხი. როგორც ნამდვილად შევიტყეთ, ცხინვალის ბოქაულს მოუხდენია განკარგულება, შეუკრებია ორას თუმანზედ მეტი და ამ ფულით ჰსურს დაიქირაოს ექიმი და ფერშლები ხოლერასთან საბრძოლველად. ამავე სოფელში კიდევ გახდნენ ავად ამ თვის ოც-და-სამს ხუთნი: საბედა ქებაძე, ნუშო ქაბულაშვილი, ნუშო მოსიაშვილი, ისაკა ქებაძე და სინო ქაბულაშვილი.

*** დ. ცხინვალი: ჩვენს მხარეს ეს ორი კვირაა, ხოლერამ იჩინა თავი. იმ თავითვე, თავ-დარიგიანად არავინ იზრუნა დი ეხლაკი ისეა გაძლიერებული ამ ჩვენს პატარა დაბაში, რომ ღმერთმა შეარცხვინოს, დღეში ოცი, ოც-და-ხუთი კაცი რომ არ იმსხვერპლოს ამ დაუპატიჟებელმა სტუმარმა—ხოლერამ. პირველად ურიების უბანს მოედო. მომეტებული ნაწილი ურიობა იხოცება. უბედურება ის არის, რომ არ იშლიან და თავიანთებურად ჰმარხავენ მკვდარს: ამოსთხრიან არშინ ნახევრის ოდენს მიწას, წააფარებენ მი-

---

ნაბა ხოლერაა, ან კიდევ სხვა რაიმე ავადმყოფობა, წამსვე არსდება სასანიტარო დასები, იწერება განკარგულებანი, ასტყდება ხოლმე ერთი გაუთავებელი სჯა და ბაასი სისუფთავის შესახებ, აყაყანდებიან ხოლმე გაზეთები, ქუჩებში დარბიან სანიტარები, სასამართლო სასტიკად აჯარიმებს და აპატიმრებს უსუფთაობისთვის სახლის პატრონებს და შეშინებულნი მოქალაქენიც სცდილობენ სახლებისა და ეზოების დასუფთავებასა და დაწმენდას...

ვნახოთ, ცოტა ხანს შემდეგ „დაუპატიჟებელი სტუმარი“ ღვთის წყალობით მოგვშორდა და იმასთან ერთად ჩაბარდა პატრონს სასანიტარო დასები, გახუნდა ყოველ გვარი განკარგულებანი სისუფთავის შესახებ, მიჩუმდნენ ქალაქის რიხიან ხმიანნი ხმოსნები, მოსტყდა წვერი მეგაზეთეების კალმებს, დამშვიდდა ხალხი და ისევ ისე მისცა თავი უსუფთაობასა და ბინძურობას, ვიდრე ახლა კიდევ სხვა დაუპატიჟებელი სტუმარი არ ეწვევა...

**

დიაღ, თუ „დაუპატიჟებელმა სტუმარმა“ ცოტა არ გამოგვაფხიზლა, ფიქრადაც არ მოგვდის ქალაქის დაწმენდა-დასუფთავება. აბა მოიგონეთ, ტფილისელებო, რას აკეთებდით თქვენ ამ ცოტა ხნის წინად? რა დიდი ხანია, რომ არავის ფიქრადაც არ მოგდიოდათ, არც სასანიტარო დასები, არც დეზინფექცია, არც ღარიბ-ღატაკისთვის ზრუნვა. რა დიდი ხანია მას აქეთ, რაც არხეინად ვცხოვრობდით ჩვენთვის მტვერში, ვსუნთქავდით „სუნნელოვანს“ ჰაერს ვსვამდით ჩვენის ძვირფასის წყლის მილიდგან მღვრიე წყალსა, ვიხოცებოდით საშინელის სიცხითა და წყურვილით, გიახლებოდით მარგარინსა, აშმორებულს თევზს და ისეთს საჭმელს, რომ საცოდავს კუჭს მონელება უძნელდებოდა...

ჩვენ გვეგონა აქამდის, რომ მტვერი და ტალახი ტფილისისთვის აუცილებელი საჭიროებააო... გვეგონა, რომ მოვალენი ვართ, ხმა ამოუღებლად ავასრულოთ ქალაქის თვით-მმართველობის ბრძანება: „რაც შეიძლება, ყაირათიანად დახარჯეთ მილის წყალიო“... გვეგონა, რომ ჩვენი სტომაქი იმისთვის არის გაჩენილი, რომ ვაჭრებმა გამოსცადონ, თუ როგორი გავლენა აქვს ადამიანის კუჭზედ დამპალს საჭმელსა და მოწამლულს სასმელს...

და აი მხოლოდ ეხლა გამოვიღვიძეთ, გამოვფხიზლდით, ეხლა შევიტყეთ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონია ჩვენის ჯანმრთელობისთვის მტვერსა, ტალახსა, მღვრივე წყალს, დამპალს საჭმელს... ეხლა მივაქციეთ ყურადღება ჩვენს ქუჩებს, სახლებს, ეზოებს. ეხლა შეგვეცოდა ღარიბ-ღატაკი ხალხი. ეხლა დავინახეთ მშიერ-მწყურვალი ჩვენი მოძმე, ეხლა ვაძლევთ დარიგებასა, წამლებს, ეხლა უმართავთ უფასო საჩაიებსა და სასადილოს, ეხლა ვატანთ ძალას სახლის პატრონებს და ვაწმენდინებთ სახლებსა და ეზოებს.

**

სასანიტარო დასებმა დასინჯეს ტფილისის სახლები და აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ სახლების ეზოებში სრულიად არ არის ჯირგინები, რომლებშიაც უსუფთაობა გადიღვაროს და ნაგავი გადიყაროს. პოლიცია-კი ბრძანებს: ქუჩაში არც წყალი გადმოღვაროთ და არც ნაგავი გადმოყაროთო. მოქალაქენი ერთს ვაი-ვაგლახში ჩაცვივდნენ: ეზოში წყლის გადაღვრა და ნაგვის გადაყრა აკრძალულია, ამ წყალს ვერც ქუჩაში გადაჰღვრი. მაშ რა ჰქმნას კაცმა?

ტფილისის ზოგიერთ ქუჩებში უსუფთაობისთვის არხებია გაყვანილი, რომლებიდგანაც ყველა უსუფთაობა შიგ მტკვარში ჩადის, მაგრამ ეხლა ისიცა ვსთქვათ, რამდენი ისეთი სახლიც არის ტფილისში, რომელსაც უსუფთაობისთვის არხი არა აქვს გამართული და სწორედ აქედგან წარმოსდგება ქალაქის საშინელი უსუფთაობა. მართლაც-და აბა დაფიქრდით: ტფილისში 120,000 მცხოვრებია. სულ ცოტა რომ ვსთქვათ, თითო კაცს დღეში 6—7 ვედრა წყალი დასჭირდება სახმარებლად. ეს წყალი შემდეგ ჭუჭყიანდება და უსუფთაობად გარდაიქცევა, ეს იზამს დღეში ერთს მილიონ ვედრაზედ მეტს. ამას მიუმატეთ სამზარეულოებისა, ბაზრებისა, ქარხნებისა და ქუჩების ნაგავი და პირუტყვების განავალი. ყველა ეს უსუფთაობა დღეში რამდენსამე მილიონ ფუთობითა გროვდება და ამ უსუფთაობაში მთელი ქალაქი მჟავდება წნილივით. დაბეჯითებით ვამბობთ, რომ ტფილისი იმ დრომდე არ დასუფთავდება და არ დაიწმინდება როგორც რიგია, ვიდრე აქაც მთელს ქალაქში ისეთს კანალიზაციას არ გამართავენ, როგორიც ევროპის დიდს ქალაქებშია გამართული, ე. ი. ყველა სახლიდგან და ყველა ქუჩებში არ გაიყვანენ არხებს, რომლებითაც ქალაქს მოშორდება ყოველ-გვარი სიბინძურე. მაშინ იქნება ჩვენც შეგვეძლოს ინგლისელებივით დავიკვეხოთ ხოლმე: ჩვენ ხოლერისა სრულიად არ გვეშინიან, იმიტომ-რომ სუფთადა და ფაქიზად ვცხოვრობთო.

აბრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წის პირად ჭერებს, მიაყრიან თითის სისქედ მიწას და მორჩა და გათავდა. ნუ თუ ამ გარემოებას ესე უყურადღებოდ დასტოვებენ, რომ ხოლერამ უფრო გაიდგას ძირი?!

*** გურია (ოზურგეთი): ხოლერის ხმის გაგონებამ მეტად შეაშინა გურულები. თუმცა ჯერ არ არის ჩვენსკენ ეს სენი, მაგრამ სისუფთავეს მაინც არ მისდევენ. სისუფთავეს დავანებოთ თავი. ახლად მიცვალებულს აქ 5—6 დღეს დაუსაფლავებლად ინახავენ და ისე სტოვებენ ამ სიცხე-პაპანაქებაში. მომტირალნი სულ ცხვირდაცობილნი ეხვევიან თავისს ცხედარს. თუ მართლა ხოლერა გაჩნდა ჩვენში, მაშინ თქვენი მტერი, რომ გურულებს საქმე დაემართებათ ასეთის გლახა ჩვეულების გამო. დიდად იფარფაშებს ხოლერა აქ და არც დიდხანს მოსცილდება გურიას. მეტად კარგს იზამს პოლიცია, აუკრძალავდეს ხალხს ცხედარის დიდხანს შენახვას, ზაფხულობით მაინც, როდესაც ასეთი დიდი სიცხეები სდგას.

*** გაზეთს „Кавказъ“-ში დაბეჭდილია: ტფილისში, მე-9 ნაწილში, თუმანოვის ქუჩაზედ, სცხოვრობდა ზურაბ ოდიშელიძე, რომელიც ხოლერით ავად გახდა, მაგრამ რამდენსამე ხანს ჰმალავდა თავის ავადმყოფობას, ვიდრე 27 ივლისს ძლიერ ავად არ გახდა და იმავე დღესვე არ გარდაიცვალა. ეს ამბავი ძლიერ სამწუხაროა. სასურველია, დარწმუნებული იყოს ყველა, რომ ძლიერ საშიშოა ხოლერის დამალვა, რადგანაც ეს ისეთი სენია, რომ, თუ დროზედ არ უწამლა კაცმა, მერე ძლიერ ძნელია მორჩენა.

*** ტფილისიდგან ძალიან ბევრი ნახშირი მიაქვთ გორსა და სურამში, რადგანაც იქაური მენახშირეები ხოლერის შიშით ქალაქიდგან გაქცეულან («Нов. Обоз.»)

*** მოსკოვის გაზეთებში ვკითხულობთ: ამ ბოლოს დროს მოსკოვში ავად გამხდარა ხოლერით სულ 24 კაცი. სერგიევო-ელისაბედის თავ-შესაფარში ავად გახდა 16, საპატიმროში 6, ქალაქში 2. გარდაიცვალა 10, „Р. В.“-ში დაბეჭდილ ცნობით, მოსკოვში ავად გამხდარა 8—15 ივლისს დიზენტერიით—253 კაცი და გარდაცვლილა კუჭ-ნაწლავების ანთებით 183 კაცი.

*** 30 ივლისს, ღამით, ბანაკის მახლობლად იპოვნეს გვამი უნტერ-აფიცრის, თავ. ალექსანდრე გიორგის ძის ბაგრატიონ-მუხრანსკისა. მიცვალებულს მარჯვენა საფეთქელში ტყვია ჰქონდა მოხვედრილი და რევოლვერი ხელზედ ჰქონდა თასმით მიბმული.

## სასანიტარო საქმე

კრებამ მოისმინა ქალაქის მოურავის მოხსენება, რომ ამორჩეულმა სასანიტარო კომისიამ გადასწყვიტაო: თუ გვინდა ქალაქი გადავარჩინოთ ხოლერას, უსათუოდ უნდა ვიშუამდგომლოდ უმაღლესს მთავრობასთან, რომ რკინის გზის სადგურებზედ, ქსანზედ და ყარაიასზედ, ტფილისში მომავალთ დეზინფექცია გაუკეთონ. ამას გარდა, ახლო-მახლო სოფლებში, თუ ხოლერამ იმატა, ქალაქი მიეშველოს ექიმებით და წამლებითაო. ყველა ეს და სხვა წვრილმანი გადაწყვეტილება ერთ-ხმად დაამტკიცა კრებამ.

შემდეგ ხანგრძლივი ბაასი გამოიწვია ბ-ნ ა. იოანესიანის სარჩიელმა: ამოვარჩიოთ კომისია, და მივანდოთ დაბეჯითებით და გადაჭრილი გვითხრას, სასარგებლოა, თუ საზარალო მტკვრის წყლით ქუჩების მორწყვა. ზოგი ექიმი ამბობს, ხოლერის დროს არ შეიძლებმ მტკვრის წყლით ქუჩების მორწყვა, ხოლერა გაძლიერდებაო, ზოგი კიდევ სულ წინაალმდეგია. ამის გამო ადამიანს ვერ გაუგია, სასარგებლოა მტკვრის წყლით ქუჩების მორწყვა, თუ საზარალო. ამასთანავე ჩვენს ქუჩებში ისეთი მტვერია, რომ ლამის დაგვარჩოს. თუ კომისია გვეტყვის, რომ ხოლერის დროს არ შეიძლება ქუჩების მორწყვაო, მაშინ რა ვქნათ, მოვითმენთ მტვრის ყლაპვას, რა-კი სახეირო არ არის ქუჩების მორწყვა. ერთის სიტყვით, საჭიროა გადაწყვეტით ვიცოდეთ, მავნებელია მტკვრის წყალი, თუ არა.

ამაზედ საბუთიანად და დალაგებით უპასუხა ბ-ნმა ნიკოლაძემ, რომ ეს სარჩიელი მეტად მძიმეა დ აგრე ადვილად არ შეიძლება მისი გადაწყვეტაო. წარმოიდგინეთ, რომ კომისიამ გითხრათ, ძალიან კარგია ქუჩების მორწყვა მტკვრის წყლითო, მერე რა ნაირად გსურთ აასრულოთ ეს რჩევა. ეხლა მხოლოდ მეათედი ქალაქის ქუჩებისა ირწყვის. საშუალება არა გვაქვს და ამ გაჭირვებაში საიდგან ვიშოვნით ფულებს. მტვერი ყველა ქუჩაზედ მავნებელია, მარტო გოლოვინისაზედ და მიხეილის ქუჩაზედ-კი არა! ამისათვის მე საჭიროდ მიმაჩნია დავავალოთ მომავალს კომისიას განიხილოს ეს საგანი ჰიგიენისა და ფინანსიურის მხრივ.

კაი ხნის კამათობის შემდეგ დაადგინეს: ამოირჩიონ კომისია ექიმებისაგან და იმათ მიენდოთ გამოიკვლიონ, სასარგებლოა თუ არა მტკვრის წყლით ქუჩების მორწყვა ხოლერის დროს? კომისიას, რომელიც შესდგება ყველა ქალაქის სასანიტარო ექიმისაგან, უფლება აქვს მოიწვიოს მცოდნე და გამოცდილი მოღვაწენი ამ საგნის განსახილველად.

კრება გათავდა 11 საათზედ.

## გაკვრით

დღეში ათობით მოგვდის სოფლებიდგან წერილები, ექიმი არა გვყავს, წამალი არა გვაქვს, ფულიც არ მოგვეპოვება და აბა ხოლერას როგორ ვებრძოლოთ, მოდით, დაგვეხმარეთ, თორემ დავიღუპენითო. ექიმი და წამალი კარგია, რაღა თქმა უნდა, მაგრამ როცა არ არის, უიმისოდ უნდა გადავიაროთ და ისე ვებრძოლოთ სენს. როგორაო? გაკვირვებით მკითხავს მკითხველი. აი როგორ:

უპირველესი წამალი ხოლერასთან საბრძოლველად არის სითბო. ამაზედ უებარს წამალს, ადვილად მოსახერხებელს და სახელდახელოს სოფლად ვერ იშოვით და არც ღონე შესწევს სოფელს სხვა რამე ძვირფასი წამალი იშოვოს. სოფელში კარბოლკა ძვირია. ხოლერა შეხვდება თუ არა კაცსა, ტანი, სხეული უცივდება, ერთის სიტყვით სითბო აკლდება მის გვამს. მაშასადამე, უნდა ვეცადნეთ, სითბო დავუბრუნოთ გაციებულს გვამს, ე. ი. როგორმე ოფლი მოვგვაროთ. ამისათვის საჭიროა ავადმყოფი მუცლით დაწვეს ცხელს რამეზედ, იბანოს ცხელს წყალში, გარს ცხელის წყლით სავსე ბოთლები შემოიწყოს, ფეხებზედ ცხელი სამოვარი მიადონ, ან გარს შემოაყარონ ტომრები გახურებულის ხორბლით, ამასთანავე მაუდით დაიზილოს გაციებულის სხეულის ნაწილები. თუ ოფლი მოუვიდა ავადმყოფს, იცოდეთ, გადარჩა სენს.

სითბოთი მორჩენა ადვილიცაა და შესაძლებელიც, თუ მაშინვე მოასწარი და სენი არ გაძლიერებულა გვამში. უკანასკნელ შემთხვევაში ყველაფერი ფუჭი იქნება.

ისიც დიდად საჭიროა, რომ ავადმყოფის ქვეშსაგები და ყოველივე ნივთი, რომელსაც-კი მიეკარა, დაიწვას. ესეც ადვილია სოფელში. ნავთი გადაასხით და მიეცით კვარი.

საჭიროა აგრეთვე პირ-ნასაქმი და განავალი იმავე წამს მოშორებით გატანილ იქმნას და კირ-მოსხმული. ესეც ადვილია სოფლისთვის.

გულის დასამშვიდებლად შევატყობინებთ, რომ ყველა აქ მოხსენებული ჩვენი მოგონილი არ არის, არამედ ამოკითხულია კაი წიგნიდგან.

მივმართავთ ჩვენს ქართველს ექიმებს, შეადგინონ მდაბიო და ადვილის გასაგები ენით დარიგება ამ უბრალო წესით წამლობისა და გაავრცელონ ხალხში. ამას დიდი შრომა არ მოუნდება და სარგებლობა-კი დიდი იქნება.

საკვირველია ჩვენის ქართველების საქმე. უსათუოდ ყველაფერში ჩვენ უნდა დავრჩეთ უკან. ყირიმში თათრულად შეადგინეს დარიგება, ერევანში სომხურად და საქართველოს დედა ქალაქში-კი ვერა მოგვიხერხებია-რა. აი სწორედ ეს არის ღვთის რისხვა, ხოლერა-კი არა.

## წესები

იმისი, თუ ხოლერით ავად გამხდართ პირველშივე როგორი დახმარება უნდა აღმოეჩინოს.

ხოლერა უფრო სტომაქ-ნაწლევების სენია და სუსტად პირველში ეს სენი იმითი იჩენს ხოლმე თავს, რომ უბრალოდ გააფაღარათებს და ფაღარათობის არ-შესაფერად, მეტად ძლიერად ძალ-ღონე ეკარგება ავადმყოფს, სუსტდება, დუნდება. ამიტომ ყოველს სტომაქის მოშლას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს და თავის დროზედ ხელი მიეყოს მის წამლობას, რომ განვითარება ვეღარ შეიძლოს სენმა. სენი პირველში უფრო ადვილი საწამლებელია, ვიდრე შემდეგში, როდესაც განვითარდება.

1) თავს იჩენს თუ არა პირველივე ნიშნები სტომაქისა და ნაწლავებისარა-წესიერად მუშაობისა—თუ გულის კოვზს ქვეშ ტკივილებსა ჰგრძნობს ავადმყოფი, მუცლის ყურყური და გრიალი აქვს, გულის ზიდილი, მუცელში მცირედ ფაღარათად არის, კარგს იზამს პერანგს ქვეშ ტიტველა მუცელზედ თივთიკის წმინდა შალი (ფლანელი) შემოიკრას.

2) ავადმყოფი მაშინვე ლოგინში უნდა ჩაწვეს, თუ მუცლის ფაღარათობას, მცირესაც-კი, ძალ-ღონის სისუსტე, სიდუნე, თავის ტკივილი, უმადობა და გულის ზიდილი მოსდევს.

3) თუ ვინიცობაა ავადმყოფი ლოგინში წევს, მაგრამ მუცლის ფაღარათობა არა ჰშორდება, შალის მაგიერ, მუცელზედ თბილი ტლეები (კომპრესი) უნდა დაადონ, ხოლო თუ სენმა უფრო მეტად იჩინა თავი, ცხელი და მშრალი სათბუნებლები უნდა დაადონ და ამისათვის შეიძლება იხმარონ ნაცარი, ქატო, სუფთა ტილოში, ან ფლასში შეხვეული აგური და სხ.

სხოლიო: ერთის სიტყვით, გარეგან, მუცლის სათბუნებელ საშუალებათა ხმარების დროს, სტომაქის მოშლის კვალობაზედ, შემდეგი თანდათანობა უნდა იქმნას დაცული:

ა) თივთიკის წმიდა შალის შემოკვრა კარგია მუცელზედ, თუ ადამიანმა საზოგადოდ ხშირად იცის სტომაქის მოშლითა და გაციებით ავად გახდომა; ბ) თბილი ტლე მაშინ უნდა დაიდოს, როცა სტომაქი მოეშლება, თუნდა მცირეოდნადაც იყოს, მაგრამ თუ ამასთან სუსტდება კიდეც და დუნდება, ავადმყოფი იძულებულია ლოგინში ჩაწვეს; გ) ამას შემდეგ-კი ხმარებულ უნდა იქმნას მშრალი სათბუნებლები და მდოგვი გულის კოვზს ქვემოდგან.

4) წყურვილის დროს ავადმყოფს სასმელი არ უნდა დაუშალოთ, მხოლოდ ერთად ბევრი არ მისცეთ, არამედ ყლუპ-ყლუპად და შესვენებით დაალევინოთ ცოტ-ცოტა. სასმელად გამოსადეგია: ადუღებული, კარგად გაციებული, თითქმის გაყინული, რაც უფრო უკეთესია, წყალი, განელებული ჩაი, კარგად გაციებული ღვინო. ეს სასმელები, წყალს გარდა, საუცხოო საშუალებაა სუსტ ავადმყოფის მოსაღონიერებლად.

5) იმას უნდა სცდილობდნენ ყველანი, რომ ავადმყოფი კარგად ჩაათბუნონ და ოფლი მოადინონ. ამისათვის-კი რაც შეიძლება თბილად უნდა დაჰხურონ ავადმყოფს, ხელებზედა და ფეხებზედ ცხელის წყლით სავსე ბოთლები შემოუწყონ და კარგად დაუზილონ მთელი სხეული, განსაკუთრებით-კი ხელ-ფეხი, მდოგვისა, ან ქაფურის და ან უბრალო სპირტით შალისა, ანუ მაუდის ნაჭრის შემწეობით. ოფლის მოდენა და დაზელა სხეულის სრულს ძალ-ღონეს, ენერგიას გამოიწვევს და აგრეთვე ხელს უწყობს, რომ ავადმყოფს სიკრუნჩხე აღარა ჰქონდეს და კუნთები გაეშალოს.

6) დაზელა ავადმყოფისა მეტადრე მაშინ არის საჭირო, თუ მანჭვა-კრუნჩხვა დაეწყო.

7) თუ შეძლება ნებას აძლევს, უფრო კარგი იქნება, რომ ავადმყოფი თბილს წყალში აბანაონ, წყალი თანდათან შეათბონ, როდესაც ავადმყოფი აუზშია, 25-გან 30° რეუმ. და შიგ აუზშიაც განაგრძონ მისი ზელვა.

8) როცა პირ-ღებინება და პირსაქმობა დაეწყება ავადმყოფს, კარგი იქნება პატარა თხილის ოდენა ნაჭრები სუფთა ყინულისა აყლაპონ. ჩვენში სჯობია, რომ ხელოვნებით გაკეთებული ყინული იხმარონ. ხოლო თუ შეძლება ნებას აძლევს, კარგი იქნება, ამას გარდა, ცოტ-ცოტა გაციებული შამპანური ღვინო ასვან ავადმყოფს.

9) დაუძლურებულ და მისუსტებულ ავადმყოფის მოსაღონიერებლად, უკვე დასახელებულ ჩაისა და ღვინოს გარდა (ღვინო მაგარი უნდა იყოს, არა მჟავე და შეურეველი), კარგია ცოტ-ცოტა, წამალსავით, ასვან რომი, კონიაკი, შამპანური ღვინო და სხ. არაყამდე, იმ პირობით-კი, რომ არაყი კარგის ღირსებისა და კარგად დაწურულ-დაწმენდილი იყოს.

10) ყოველ სტომაქის მოშლის დროს, მეტადრე ისეთს ადგილებში, სადაც ციებ-ცხელება იცის, მაგალითებრ, როგორიც ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთელი ბათუმის განყოფილებაა, კარგია, მეტადრე ეხლა, ხოლერის დროს, დილ-დილით ან საღამოობით, თუნდა ციებაც არა ჰქონდეს, 3, ან 5 და ან 8 გრანი მლაშე-მჟავე ქინაქინა დალიონ.

11) თუ ხელ-ახლად აუტყდა სტომაქის და ნაწლევების მოშლილობა და ფაღარათობა ისევე დაემართა და თუ ამასთან ავადმყოფი სუსტის აგებულებისა არ არის, წლოვანს კარგია დაალევინონ კასტორის ზეთი ორ საჭმლის კოვზამდე, ან 8 კაპსული ერთ ანუ ორ ჯერობაზედ, ხოლო თუ ფაღარათობა და პირ-საქმობა ძლიერა აქვს, მაშინ მუცელში გასაფაღარათებელი წამალი აღარ უნდა მიეცეს.

12) როცა გასაფაღარათებელი წამალი თავისას იმოქმედებს და სტომაქი ძალიან არა აქვს მოშლილი ავადმყოფს, დღე-ღამეში 3—4 ჯერ დალიოს 15—20 წვეთი ინოზემცევისა ანუ 10—15 წვეთი ბოტკინის საწვეთებლისა (კაპლისა). რამდენადაც გაუძლიერდეს სტომაქის მოშლილობა, იმდენად ეს წამალიც მეტი ასვან: შეიძლება ყოველ 2—3 საათში და უფრო ხშირადაც 20—25 წვეთი ამ წამლისა დაალევინონ, თუმცა ამ წამლის ასე ჭარბად და ხშირად ხმარებას უექიმოდ სიფრთხილით უნდა მოეკცნენ და არ დაივიწყონ, ამ წამლის ასე ჭარბად ხმარება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ აღარავითარი ეჭვი აღარ არის, რომ ავადმყოფს ხოლერა სჭირს.

13) მაჯის ცემის გასაძლიერებლადა და ავადმყოფის მოსაღონიერებლად, ზემოხსენებულ სასმელებს გარდა, ინოზემცევისა და ბოტკინის საწვეთებლებთან ერთად, უნდა იხმარონ გოფმანისა ანუ ვალერიანის საწვეთებლები, ჯერ-ჯერობით, ერთი მეორეს შემდეგ და საჭიროების თანახმად განაძლიერონ წვეთის რიცხვი 15—20 წვეთიდგან 3—4 ჯერ დღე-ღამეში 20—25 წვეთამდე 2—3 საათში ერთხელ და უფრო ხშირადაც.

14) განსაკუთრებით იმას ვურჩევთ, რომ სიფრთხილით მოეკიდნენ და ერიდნენ ამ ჟამად მრავლად გავრცელებულს და უვიც ხალხთაგან გულდადებით ნაქებ-ნადიდებს ვითომ-და „ნაცადსა“ და „სასწაულ-მომქმედ“ საშუალებათ.

15) არ უნდა დაივიწყოთ, რომ ხოლერით ავადმყოფი თავისდა თავად საფრთხილო, საშიში და სენის გამავრცელებელი არ არის, გადამდები თვისება სენისა იმის განავალსა და პირიდგან ნაღებინებში ჰბუდობს და მაშინ არის შიში, თუ საჭმელ-სასმლის შემწეობით ადამიანს სტომაქში ჩაჰყვა. ამიტომ ყოველ გვარად უნდა ეცადნენ საკუთარს უზრუნველ-ყოფასა და დაცვას სენისაგან, განავალს ფრთხილად აპკურონ სადეზინფექციო წამლები და ამასთან ხოლერით ავადმყოფს თავისი მზრუნველობა არ მოაკლონ, შეუშფოთებლად და დაწყნარებით აღასრულონ წმიდა ვალი კაცთ-მოყვარეობისა და საზოგადოების სამსახურისა.

გრ. ვოლსკი

# დეპეშა

30 ივლისი

**პეტერბურგი.** გზათა მინისტრი გუშინ დაბრუნდა პეტერბურგს ვოლგას ნაპირზედ მოგზაურობიდგან.

გაზეთები იუწყებიან, რომ ბაქოში ხოლერა განელდაო. ნიჟნი ნოვგოროდშიაც ხოლერამ ძლიერ იკლო.

**პარიჟი.** პარიჟში რუსეთის ახალშენის მცხოვრებნი მომავალს კვირას გაჰმართავენ ტომბოლას (ხალხის ყრილობას).

პოლკოვნიკმა ლოდსმა გუშინ ყუმბარების სროლა დაუწყო დაგომეის ნაპირებს.

ავღანისტანიდგან მიღებულ ცნობებიდგანა სჩანს, რომ, ხაზაროსების ადგილებში დასახლებულნი ფეროსკუხები სარიპულს დასცემიან. მაიმონში მომხდარი აჯანყება ხელს უშლის ავღანის გუბერნატორს ფეროსკუხების წინააღმდეგ ღონისძიება რამ იხმაროს.

31 ივლისი

**პეტერბურგი.** გუშინ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი პეტერბურგიდგან გაემგზავრნენ „კრასნოე სელო“-ში.

უქვეშევრდომილეს მოხსენებაზედ, შესახებ იმისა, რომ სტუდენტი-ექიმები ხოლერიან ადგილებში საქმის ცოდნითა და თავგანწირულებით ასრულებენ თავისს მოვალეობას, ხელმწიფე იმპერატორმა დააწერა: „საქებურია და დიდად სასიამოვნოა“.

ასტრახანში ხოლერა ნელდება.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატამ 350 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 310-სა სალიუსბერის კაბინეტს გამოუცხადა თავის უნდობლობა. სალიუსბერი იძულებულია სამსახურს თავი დაანებოს.

პეტერბურგის ბირჟა, 28 ივლისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,80 | 7,82 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 156 | 156 3/4 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 234 1/2 |
| —მეორისა | — ,, | — ,, | 222 3/4 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — ,, | — ,, | 192 1/2 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% | 102 3/4 | — ,, | — ,, |
| 5% | 99 1/2 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | 102 3/4 | — ,, | — ,, |
| 5% | 99 3/4 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98 3/4 | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის . . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

**ბათუმში მოდის:**

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გაადისაით.

**ფოთიდგ გადის:ან**

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობთი-საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

## ნ ი ხ რ ი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „


## განცხადებანი

### კბილის ექიმი
### ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

შუადღის 12-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

საღამოთი 5-დგან 7 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე. (150—82)

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში (Караванъ-сарай Земельн. банка № 125) ახალი წიგნი.

### რუხი მგელი

მოთხრობა გ. წერეთლისა

ფასი სამი შაური

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. | „ | 20 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთ. I, II და III ტომი თითო ტომი. | 1 | 40 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე | 2 | 50 |
| სამივე ტომი. | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა | 1 | 80 |
| თხზლებანი ი. დავითაშვილისა | „ | 20 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. | „ | 50 |
| სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა | „ | 30 |
| აქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა | „ | 50 |
| ონიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე | „ | 20 |
| პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე | „ | 50 |
| საყმაწვილო ამბები მისივე | „ | 40 |
| ძმურ სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა. | „ | 25 |
| თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი | „ | 50 |
| საქართველოს დასურათებული კალენდარი 1892 წლის შედ. და გამოცემული ვ. გუნიას მიერ ფასი | „ | 45 |
| რამდენიმე მოთხრობა რაფფისა, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. | „ | 25 |
| სამი ცელქი, საყმაწვილო სურათებიანი წიგნი შ. მღვიმელისა | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია ბაქრაძისა | 1 | „ |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჭყონიასი. | 1 | 50 |
| ქართული გრამატიკა არ. ქუთათელაძისა. | „ | 40 |
| ქართული გრამატიკა თ. ჟორდანიასი | „ | 55 |
| თამარიანი ლექსად რ. ერისთავისა | „ | 60 |
| თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ. | „ | 40 |
| ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა | „ | 30 |
| ოტელო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. | „ | 50 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| ლექსები ვახტანგ ორბელიანისა | „ | 20 |
| სურათი შ. რუსთაველისა | „ | 60 |
| წმ. ნინოს ხატი | „ | 50 |


**კნეინა ეკატერინე იაკინთეს ასული და თავადნი ლევან და ნიკოლოზ გიორგის ძენი ბაგრატიონ-მუხრანსკები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა 30 ივლისს უეცრად გარდაცვალებასა პირველი შვილისას, ხოლო მეორენი—ძმისას, თავ. **ალექსანდრე გიორგის ძის ბაგრატიონ-მუხრანსკისას**, და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის დასაფლავებაზედ დუშეთის მაზრის სოფ. მუხრანში, ორს აგვისტოს. ეტლები სადგურ ქსანზე დაჰხვდებათ მოსულთ. (2—104—1)


## გამოვიდა და ისყიდება

სამეურნეო საზოგადოებასა და ზაქ. პეტრეს ძეს გრიქუროვთან **არჩილ დარეჯანაშვილი** მიერ შედგენილი წიგნები:

ა) ხეხილების დარგვა და მისი მოვლა, 15 სურათით, ფასი აბაზი.

ბ) Краткое наставленіе о размноженіи плодовыхъ деревъ и кустарниковъ съ 15 рисунками.

ფასი აბაზი.

(10—10)

წიგნის გამომცემელ ამხანაგობის მაღაზიაში ისყიდება ახალი წიგნი

ვახუშტი ბატონიშვილი

## საქართველოს

გეოგრაფია

1 წიგნი

## სამცხე

ვახუშტის საზოგადო „შესავალი“-თურთ.

გამოცემა

მოსე ჯანაშვილისა

ფასი 25 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით | 10 მ.—კ. | 6 | თთვით | 6 მ.—კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50,, | 5 | ,, | 5 ,, 50,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75,, | 4 | ,, | 4 ,, 75,, |
| 9 | ,, | 8 ,, —,, | 3 | ,, | 3 ,, 50,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25,, | 2 | ,, | 2 ,, 75,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50,, | 1 | ,, | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცი არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: გუგიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში №.


Дозв. ценз. Тифлисъ, 31-го Іюля 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.